ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6157418

ნომერი: AR1926801

თარიღი : 05.10.2022

გაცემის თარიღი : 10.10.2022

გაცნობის თარიღი : 10.10.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ვიქტორ მარგველაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. “დაგი„
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205022134

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს “სახელმწიფო მომსახურების ბიურო„
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404389372
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზვიად გონაძე

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01009003704

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: № 2142683
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 17.08.2015

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 2153010
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 27.08.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ:

1. დამკვეთად დაფიქსირდეს მიწის ნაკვეთის ამჟამინდელი მესაკუთრე, შპს იბეროტელი და წარმოდგენილი იქნას განმცხდებელზე გაცემული, სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა, ან წარმოდგენილი იქნას მითითებული დამკვეთის მიერ მიწის ნაკვეთით სარგებლობისა და სამშენებლოდ განვითარების ინტერესის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა.

2. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: წარმოადგინეთ ობიექტის უახლესი სიტუაციის ამსახველი ფოტოები გადაღების თარიღის ფიქსაციით

3. შეთანხმებული პროექტის ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : წარმოადგინეთ ველის შესაბამისი დოკუმენტი

4. შესაბამის ველში წარმოადგინეთ საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა განთავსებული უნდა იყოს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტი №57 დადგენილების 40-ე მუხლის 2-ე ქვეპუნქტის შესაბამისად გაპის სტადიაზე მოწყობილ არსებულ დაფაზე დამატებით უნდა განთავსდეს სამშენებლოდ დამტკიცებული მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ასახული ინფორმაცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ნებართვის მაძიებლის მიერ მოწყობილი ბანერი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: ა) შენობა-ნაგებობის მისამართი; ბ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება; გ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები; დ)შენობა-ნაგებობის სართულიანობა ან/და გაბარიტები. ე) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნომერი და თარიღი, რომლითაც დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში; საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

5. პროექტი შეთანხმებულია (ბრძანება № 2142683; 17/08/2015;) და მშენებლობის ნებართვა (ბრძანება № 2153010; 27/08/2015) გაცემულია საკადასტრო კოდი: 01.20.01.109.059 ფართობი: 14687.0 კვ.მ . ვინაიდან შეიცვალა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართი, კონფიგურაცია და საკადასტრო კოდი საჭიროა მოთხოვნა დააყენოთ მიწის ნაკვეთის

სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანაზე, შემდეგ მოითხოვოთ ცვლილების საფუძველზე დამუშავებული კორექტირებული პროექტის შეთანხმებაზე და მშენებლობის ნებართვაზე.

6. "მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი: საჭიროა გადაიხადოთ მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი საპროექტო კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის 4-ზე ნამრავლის შესაბამისად.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.